



3205

9(47.922)
3-213

ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის
აფხაზ - იგერეთის გეოგრაფიი და
მისი გეოპლიტიკური გეოგრაფიი.

კ 3949
1a



ტ ვ ი ლ ი ლ ი

ელ.-მჩერე. ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ., საკ. სახლი № 5

1912

ჭახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის
მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი.

გელათის მონასტრის საბუთებში ჩვენ შეგვხვდა ფრიად
საინტერესო სიგელი აქამდის ჩვენს ისტორიაში სრულიად უც-
ნობის აფხაზ-იმერეთის მეფის ვახტანგისა. სიგელი (№ 87) და-
წერილია ჩინებულს ეტრატზე მე-XV საუკუნის ლამაზის ხე-
ლით, $130 \times 27\frac{2}{3}$ სანტიმ. ნიშნალ აქვს ოროლი წერტილი
თითო სიტყვის შემდეგ. მომაქვს აქ სიგელი სრულიად უც-
ლელი.

ქ:- რომელი არა დააკლდი ლალთა მამულთა და სამყარო-
თა და ეთერისგან ზეცით ქვეყანად გარდამოკედ, რომელი
ცეცხლის ფერთა ძალთაგან მარადის წმიდა არსობით იდი-
დები დასაბო უხრწნელისა და მარადის ქალწულსა მარიამისი და-
იმკუდრე და განკორციელდი კსისათუის ჩუენსა ნებსით ივნე
ჯუარითა და ყოველნივე ვნებად უნებელმან თავს იდევ შენ
სიტყვაო მამისაო ძეო და სულო წმიდაო ხილულთა და უხი-
ლავთა ყოველთავე შემოქმედო, რომელმან ადიდენ მაღიდე-
ბელნი დიდებულისა და საშინელისა ვნებისა შენისნი და გა-
მოირჩიე ქალწულთა შორის ნეტარი მარინა, რომელმან სურ-
ვილითა შენითა სიმრავლენი ღუაწლთანი თავს ისხნა და სის-
ხლი იგი უბიწო თქვენთუის დასთხივნა და თქვენ მიერ გუირ-
გუინოსანი იქმნა გუირგუინითა უხრწნელებისათა და მრავალ-
ფერითა მეოხებითა და სასწაულთა ღირს იქმნა მოგებად თქვენ,
ქალწულო წმიდაო მოწამეო ნეტარო მარინა, მე დავითიან
ბაგრატონიანმან ღმრთივ გუირგუინოსანმან ხუასროთანგონ-

მან მეფეთმეფემან ვახტანგ გვადრე და შემოგწირე და მოვაკ-
სენე ეგუტერსა სასუენებელსა წმიდისა ხატისა თქვენისასა გე-
ლათს, რომელი აგებულ არს სადიდებლად სახელსა თქვენსა
წმიდისასა მათ სულკურთხეულთა პაპთა ჩუენთა მეფეთაგან
ჩარუხიდე მისითა გლეხებითა ქოჩალასძე (აქ ჩამატებული ყო-
ფილა და შემდეგ სხვა მელნით განახლებულია) კუშხიეთს ცეც-
ძე (აქ სტრიქონს ზევით იმავე ხელით სწერია: რაჭას ამართლი-
ძე მისითა გლეხითა) რიონს ტახასთავაძე ხაბარიძე თავშავაძე
კელუხაძისა პარტახტი საწირეს ალექ(უ)შვილები (ეს ჩამატებუ-
ლია ტექსტის ხელით) ესენი მათითა მამულითა სამართლია-
ნითა ყოველითა უსარჩლებლად(?) სადიდებლდ თქვენდა და
სამწირველოდ სულისა ჩუენისთვის რათა უბიწოთა ოხითა
თქვენითა ამა სოფელსა ძლევა შემოსილ ვიქმნეთ მტერთა ზე-
და ჩუენთა ვითარც იგი ძუელ ოდესმე ისო იერქოს და კვა-
ლად დავით გოლათსა ზედა რათა ჩუენც აგრეთვე ძლევა შე-
მოსილ ვიქმნეთ ამა სოფელსა და საუკუნოდ რაჟამს ჩუენთუის
ნებსით ვნებული უფალი და ღრთი ჩუენი იესო ქრისტე ზე-
ცით მეორედ გარდამოკდეს განკითხვად ყოვლისა ქვეყანისა
და დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა მისისთა რჟამს მღინა-
რე ცეცხლისა დიოდეს წე მისსა და ათასნი ათასთანი დგენ
და ბევრნი ბევრთანი მსახურებდეს მას მზე მოაკლდეს და
მთოვარემან აღარა გამოსცეს ნათელი თუისი და ყოველნივე
აგებულება და დაზუვლნეს(sic) მამისგან დიდებისა მისსა რა-
ჟამს განარჩივნეს მან მართალმნ მსაჯულმან მართალინი(sic)
და ცოდვილნი და უბრძანოს ცოდვილთა მიერ იგი სასმენე-
ლი, ვითარმედ წარვედით ჩემგან წყე(sic) საუკუნოსა ცეცხლისა
მას საუკუნოსა (ეს ჩამატებულია). მართალთა მიუგოს სანატრელი
იგი სასმენელი, ვითარმედ მოვედით კურთხეულნო მამისა ჩე-
მისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი ცათა განმზადებული
თქუენთუის და ანგელოზთათუის მიისთ(?). დღესა მას მიოხოთ
წე უფლისა და ღმრთისა და მისმინოთ მეცა ესევითარი სა-
ნატრელი კმა ვითარმედ, მოვედი კურთხეულნო მამისა ჩემი-

საო და დაიმკუიღრეთ სასუფეველი ცათა ამისთვის შემოგვიწილავს თქვენთვის, ქალწულო წმიდაო სანატრელო მარინა, რაჭას (ეს ჩამატებულია) ჩარუხიძე მისითა გლეხებითა ქოჩლასძე ცეცსძე რიონს ტახისთავაძე ხაბარისძე და თავშავაძე კელუხაძისა პარტახტი საწირეს ალექს(?)შვილი (ეს ჩამატებ.) მათითა მამულითა ყველათა მკუიღრად შეუვალად [უცვა?] ლებლად და უსარჩლავად ჩუენგან და ყოვლისა ადამის ტომისა კაცისაგან რაგუარც ჩუენისა სულისა თუის შემოწირულსა ჰმართებს რმანც გუარმან კაცისამან ჩუენად შედეგად ესე ჩუენსა ეგუტერსა გამოაკოს ქრისტეს ღთისა უარისმყოფელთა თანა დაისჯების და ჩუენ მწირველი მოგუიშალოს ჩუენიღმც მუქბად განიკითხვის დღესა მას განკითხვისასა კრულ წყე (მეტი არა-რა).

ამას მიყობა ხვეული ხელის მოწერა გრძლად.

მეორე გვერდზე ნუსხა ხუცურით: ვახტანგ: მეფისა. სამწირველო: კუაშხიერთასა: სიგელი: არის ესე: შეუცვლიბლი.

მეორე გვერდზედვე წვრილის ლამაზის მე-XVI საუკუნის ხელით მიყობა სხვა სიგელი. ნიშნად იხმარება სამ-სამი წერტილი.

ქ: რომელი არა დაკლდა წმიდათა მამულთა და სამყაროთა ეთერთაგან ზეცით ქვეყანად გარდამოკედ, რომელი ცეცხლის ფერთა ძალთაგან მარადის წმიდა ასციბით იდიდები, განკორციელდი ხსნისათვის ჩვენისა ნებსით ივნე ჯვარითა და უოველივე გნებანი უგნებელმან თავს იდევ შენ, სიტუაც მამისათ, ძეო მკოლოდ შთბილო, რომელმან ადიდე მაღიდებელი დიდებისა შენისა და გამოირჩიე ქალწულთა შთრის ნეტარი მარინა, რომელმან სურვილითა შენითა უოველნი დგაწლნი თავს ისახნა და სისხლი იგი უბიწო შენთვის დასთხილნა და შენ მიერ გვირგვინოსან იქმნა, ქალწულო წრო მარინა, ჩვენ ერისთვის შვილთა დავით და ლომინძეან და დედამან ჩაქენმან შატრონმან თამარ გეგადრეთ და მოგაკსენეთ დიდებულსა საუდარსა გენათისასა თქვენი შეგიღრი მამული რაჭას სოფელი ბგაშხიერთის. უამთ გამოცვლილიბისაგან საერისთოდ შექნილიურ და ესე არა ეგებოდა გითარმაცა საუდისა მამული გქონებოდა და ახლად შემოგწირეთ და რაც ჩაენა პე-

და შევიდოდა გამოვედით მისგან ჩვენად სადღეგარძელოდ და სულ
კურთხეულისა მამისა ჩვენისა სულისათვის, ასრულობის დრო თორმეტს
საუფლოსა ვინც შევგვდოე იუს თორმეტს ქამს გვიწირვიდენ. ვინცა
და ოამანცა გვარის გაცმან ან ჩვენ და ან შემდგომთა ჩვენთა ერის-
თავთა კელუფს შლად და დაქცევად ამისასა, კურულმცა არის დაუსაბა-
მთსა მამისა ძისა და სულისა წმიდისა ძალითა უფლად წმიდისა დთის
შშობელისა და ჯვარისა პატითსნისა ძალითა და ურველთა წმიდათა
დთისათა ზეცისა და ქვეუანისათა კორციელთა და უხორცოთა მად-
ლითა. გრძელებასა და მას მამულს გარეთ შემოგწირეთ, ამას გარეთ
ჩარჩასისა ეული მამული მისით გლეხებითა, ქოჩაძე და ცეცაძე +
ხვეულად: თამარ.

ამ მეორე გვერდზე, ბოლოს არის ხვეული ხელის მო-
წერა ორ სტრიქონად.

როგორც ვხედავთ, სამწუხაროდ, ამ ფრიად საინტერესო
სიგელს ვახტანგ მეფისას თარიღი არა აქვს, ამიტომ საძიებე-
ლი რჩება, ვინ უნდა იყოს ეს მეფე და როდის ცხოვრობდა
ის. ვახტანგის ეკვდერი და მისი მწირველი მოხსენებულია
ერთს 1545 წლის ბაგრატ მეფის სიგელში¹⁾, სადაც ცხადია
ჩვენი სიგლის ვახტანგ მეფის სამწირველო უნდა იგულისხმე-
ბოდეს. ვახტანგის სამწირველო მოხსენებულია კიდევ ერთს
გელათისავე სიგელში № 76. ამ სიგელის ეტრატი დაზიანებუ-
ლია, $5\frac{1}{2} \times 22\frac{1}{2}$, სანტიმ. ნიშნად იხმარება 2—3 წერტილი.
სათაუროდ აქვს: საფანჩულიძეო არის. აი ეს სიგელიც სრუ-
ლიად უცვლელად:

--- თა ლთისათა ჩუენ ლთივ გურგუნოსამნ --- ორისავე
ტახტისა და სამეფოსა [ლიხთ]იმერისა და ლი[ხთა]მერისა
მაპყარობელმან მეფეთმეფემან ბაგრატ და თანა[მეც]ხედ[რე]მან
ჩუენმან პტრონმან დედოფალთა დედოფალმან ელენე და პირ-
მშომან ჩუენ[ნმან--] საყრელმნ ვახტანგ ნებითა და შეწევნითა

¹⁾ საქართ. სიძველენი I, გვ. 19.

ლთისათა ესე შეწყალებისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ --- წყალეთ თქუენ ჩუენსა ერდაგულსა და თავადადებით ნამსახუ[რსა] ფანაჩულისძესა და (sic) იობს და შენსა შვილსა ბათლომეს და იაკობს და სახალისა თქუენისა მომავალთა ყოველთავე მას უამსა როდეს მოხვედით წინა[შე] ჩუენსა და გუპაჯენით და მოგვახსენეთ. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ გელათს სენაკი ტარპეზისა გუერცა საბოსტნე ტრპეზისა ჭუშე სათიბი და სავენაკე და დაუნაშვილისა ვენაკსა გამოლმა შემომაგრელობით ვახტანგისა სამწირველოსა სათიბსა ზემოთ და ყურს[ებ]ს ჭასრაგასძე მისითა მამულითა, წყალითა, საწისქულოთა, საძებრითა და უძებრითა ნაციხვარსა და გმსაშუი სახარ-დნე ყოვლითავე ასრე და ამა პირსა ზედა რომე გიორგობასა დაღესა ნოენბერსა ათსა ორნი უამსა გვიშირევდეთ სულისა ჩუენისათვს და წარსამართებელად მეფობისა ჩუნისა. როგ[ორც] ჭასრაგასძე ზეკალიშვილთა შეუალად ჰქონებოდა, ისრევე თქუენ გიბოძეთ კელმოხსნით და არა შემოვიდოდეს რა საჩუ-ენო ერთისა გალატოზობის მეტი, არა ზროხა არა საკლავი არა ღომი არასთანა ფერი სათხოვარი და გამოსაღები. ვითარცა ქართამიცა მოგუეცით და შეგჯერდით ასრე და ამა პირსაზე-და არავინ მოგერჩოდეს არა ადამისტომი კაცი არცა სენაკსა არცა სათიბსა არცა ს[ავენაკ]ესა და არცა ჭასრაგასძესა ასრე კელშეუალად გუავიბოძეთ არა კელი წინამძალუარისა შე-ვიდოდეს არცა მოძლუართა მოძლარისა არა მთისა მთავარ-მოწმისა მებრთალომისა არცა სადედოფალოსა სამწირველოსა არცა კანდელაკისა არცა ძმათაგანისა ვინ გინდავინმე იყოს ასრე კელშეუალად გვიბოძებია ჩუენ მეფეთმეფესა ბაგრატისა და თანამეცხედრესა ჩუენსა დედოფალთა დედოფალსა ელენეს და ძესა ჩუენსა ვახტანგს თქვენ ფანჩულისძისა იობს და თქვენ-თა შვილთა თქვენისა შვილისა (sic) ბათლომეს და იაკობს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე სამკვიდროდ და შეუცვალებელად როგორც ჩუენგან ბოძებულსა მართებს აგ-რე ვერავინ შეგიცვალოს და მოგიშალოს ვერცა შემდგომად

ჩვენსა მეფეთა და დედოფლალთა და ვინცა შეგიცვალოს და მოგიშალოს გუა[რმან] კაცისამან მას მეორესა მოსულასა ჩუ-ენადა მუქაბა განი[კითხოს] (მეტი არა).

მეორე გვერდზე ხვეულად: ელენე, ბაგრატ.

რაკი ამ სიგელში მოხსენებულია ვახტანგის სამწირველო, ცხადია ვახტანგ მეფეს ამ ბაგრატ მეფეზედ აღრე უმეფნია. სამწუხაროდ, ზემოდ მოტანილი ბაგრატ მეფის სიგელიც უთა-რილოა და ამ მეფის ვინაობაც საძიებელი რჩება. ის არ შეი-ძლება იყოს არც ერთი უკვე ცნობილი ბაგრატ მეფე მე-XIV—XVI საუკუნისა, რადგან სიგელში მოხსენებულია პირ-მშო ძე მისი ვახტანგ. ხოლო არც ერთს ცნობილ აფხაზეთის მეფეს ბაგრატს არ ყოლია პირმშო შვილი ამ სახელწოდებისა. სიგელი ბოძებულია ფანჩულიძის იობისა და მისი შვილების ბართლომეს და იაკობისადმი. იაკობ ფანჩულიძე ცნობილია ჩვენს წყაროებში. მას დაუწერია 1509 წელს ალექსანდრე მე-III-ის სიგელი, გელათის მონასტრისადმი ბოძებული¹). ცხა-დია, ბაგრატ, ელენე და ძე მათი ვახტანგ ამ დროს ახლოს ცხოვრობდენ. ჩვენის აზრით, ეს ბაგრატ მეფე არის რაჭა-არ-გვეთის მფლობელთაგანი, რომელთა რეზიდენცია უნდა ყო-ფილიყო ჩხარს²). ის უნდა იხსენიებოდეს 1479 წელს³), მა-შასადამე მისი მეფობის დრო უშევს მე-XV საუკ. დასასრულს. შვილი მისი ვახტანგ 1510 წელს უკვე მეფე ყოფილა. ამ წელს ის შეება მზე ჭაბუკ ათაბაგთან ერთად მოხისს აფხაზ-იმერეთის მეფეს ბაგრატ VII-ს და დამარცხდა⁴).

რაკი ბაგრატ მეფე მე-XV საუკ. მეფობდა, ხოლო 1510 წ. ვახტანგ ძე მისი უკვე მეფე ყოფილა, ამიტომ ამ ჩვენი სი-

1) ქრონიკები II, 327.

2) იხ. ქვემოდ.

3) Д. Пурцеладзе, Дворян. грамоты, 39.

4) ქრონიკები II, 327, 331, კიდევ პარიზის ქრონიკა და ვა-ხუშტისა.

გელის ბოძება უნდა მიეკუთვნოს მე-XV საუკ. დასასრულს. ამ გვარად ამ დროს ვახტანგის სამწირველო უკვე ცნობილი ყოფილა და მაშასადამე ვახტანგ მეფეს ამაზედ უფრო აღრე უნდა ეცხოვრა.

პეტერბურგის აზიურ მუზეუმში ჩვენ ვიპოვეთ მ. ბროს-სეს ნაქონ ქაღალდებში (№ 29) პირი ერთი საინტერესო სიგ-ლისა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ამ ვახტანგ მე-ფეს. ეს სიგელი გარდა შინაარსისა იმით არის საინტერესო, რომ თარიღიანია. ვბეჭდავთ ამ სიგელს სულ მცირეოდენ შე-მოკლებით.

სახელითა ღუთისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა ჩუენ დავითიან იესიან სოლომონიან ბაგრატიონისა მეფეთ მე-ფისა ვახტანგ გორგასლისაგან ნებითა ღუთისათა აფხაზთა, ქართუელთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა ... და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოე-თისა, ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, ორისავ ტახტისა საკელმწიფოსა თვთ ფლობით მპყრობელ მქონებელისა მოვიდ-ნეს ... ჩვენსა ტახტსა ჩვენნი ერთგულნი და ჩვენისა მაღლი-სა და პატიოსნისა მეფობისა ტახტისა და გვირგვინისა ერთ-გულად ნამსახურნი და მოსამსახურენი კოტრიძენი ბაქარ, გი-ორგი, გრიგოლ, ივანე, მიხაილ და დავით, მას უამსა ოდეს მათი ძმა აბესალომ მოკლა ჭარულიძემან ერისთავმან ციცი-მან და კოტრიძეთა სამი სოფელი დაურბიეს ჭარულიძესა ანჭევი, სორლითი და ჭურისთავი. შეიქნა საქმობა და დაპირ-დეს სადარბაზოდ სამართალსა. მოვიდნეს ჭუთათისსა ჭარული-ძენი და ბაქრიძენი და კოტრიძენიც მეფეთ მეფისა ვახტანგ გორგასლისა წინაშე და მისითა ბრძანებითა დასხნეს მართალ-ნი მოურავნი ჭართლისა ერისთავი ჭუენიფნეველი, სულაი ჭავთარაძე, ტბელი ლომინაძე მესტუმრე, დავით წერეთელი, როსტევან ჯაფარიძე, სამაღლე იასშვილი, სამღუდელო დი-დისა საყდრისა მოძღუარი ზოსიმე, მოღარეთ-უხუცესი გარა-

ყანიძე გიორგი, წირქუალიძე დავით უჯარმელი, მეაბჯრეთ-
უხუცესი სარგის ქუაბულიძე, ვარდან დიკუატიძე. ისარჯულეს
და ქმნეს მოკითხული კოტრიძის საქმისა და მოილეს სიგელი
კოტრისძეთა მეფეთ მეფისა ვახტანგ გორგასლისაგან გაჩენილი
და ძველადაც სულკურთხეულისა მეფისა დავით კურატპალა-
ტისაგან გაჩენილი სისხლი კოტრიძეთა ასოცი ათასი ძველი
თეთრი, ორი ათასი სანახშირე მისითა საზაოთა გუპირულა(?)
და ედიდა ჭარულიძეთა ციცისა და მირიანსა და ამოვიდნეს
ბატონის მეფეთ მეფის ვახტანგ გორგასლისა [წინაშე] და ასრე
უბრძანა ჭარულიძეთა: კოტრიძენი ჩემნი სახასონი არიან და
რაც ძველად გაჩენილი აქუსთ კოტრიძეთა, არას დავამცრობ.
მაშინდა წარმოდგნეს ბაქრიძენი ვაჭია, ნიმრუმანი, ჭურახი და
იასიბულა და დაიფიცეს. სახლიშვილი იყო მათი აბესალომ.
ფიცეს ოთხთა ბაქრიძეთა და აღარც ხმა ამოილეს ჭარულიძე-
თა და დაიჯერეს მეფის ბრძანება, გაემართა სისხლზე და ჭარუ-
ლიძე[თ] გამოიყუანეს ქუთათისს ერთი აბლაყი ცხენი ორი ათა-
სად დაფასებული მოჭედილითა უნაგირითა შეკაზმული სანახ-
შიროდ და ისი ხმალი, რომლითა მოკლა კოტრიძე—ესე სა-
ნახშირედ მოსცა და დაუდვა სოფელი ჭურისთავი, სამნი განა-
ყოფნი კვისავიძენი და ორნი განაყოფნი ტაბირასძენი --- გი-
ორგი და მისნი შვილნი და წყისერს ფუტურაძე ბერი გლახა
მათითა მამულითა ტყითა ველითა ვენახითა მთითა ბარითა
სანადიროთა, ლუნდას ეკკლესიის წყლითა და საფლავითა უცი-
ლებელად მეფისა და მოურავთა ბრძანებითა. ესე ქუთათისს იყო.
ცხენი ისე შეკაზმული მეფესა მოახსენეს კოტრიძეთა. მეფემან
ასრე უბრძანა ჭარულიძეთა: გაუძელ წინა კოტრიძეთაო და
და რაც ჩვენითა ბრძანებითა და ამ მოურავთა ბრძანებითა
ძველადგან გასჩენია, ნურას დააკლებ კოტრიძეთა. აღიყუანა
სორს ჭარულიძემან და მოსცა ერთი ჯაჭვი მოწყობილი მისი,
თა ყოვლითა, რკინის ქალამანი და ერთი საზროხო ქუაბი,
ერთი ჭირლათო, ერთი ოთხთავი, ორი ჯორი, ხუთი ცხენი-
თორმეტი ხარი, სამი ორხუა ნაქუსოვი, ორი ტყავი სინჯაფი-

სანი და სხუა საჩუქარი დიდი მოსცა ბაქრიძეთა და კოტრი-
ძეთა და გარდასწყვიტეს იგი. ვინც ნახოთ სიგელი და ბრძა-
ნება ესე ჩვენი შემდგომად მეფობისა ჩვენისა მეფეთა, დედო-
ფალთა, ერისთავთა, ვეზირთა, დიდებულთა, აზნაურთა, მო-
ლარეთა, მესტუმრეთა, მეაბჯრეთა, მეჯინიბეთა, ახსალართა,
მეღვინეთა, მერამეთა, მენაღარეთა, ტყის მცუელთა, პურის
და საკლავის მკრეფელთა, ქუეყნის მოურავთა და ყოველთა
აბრამადთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა კარისა ჩვენისა მსა-
ხურთა დიდთა და მცირეთა ყოველთა დაუმტკიცეთ და ოქუენ
ქრისტეს მიერ სჯულის მდებელნო, ქართლისა და აფხაზეთისა
კათალიკოსნო, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშლით თვინიერ შე-
წევნისა და თანადგომისა. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე
ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა ქორონიკონს რკ-სა
ასოცისა (sic¹) და იდ მაისსა კელითა კარისა მწიგნობრისა ჩვე-
ნისა მლოცუელ მწირველის მოტილაძის მახარებლისათა. შამ-
შლელნი და მაქცეველნი მოშლილ და შეჩვენებულ, სიგლისა
ამის და ბრძანებისა დამამტკიცებელნი, შემწენი ამისნი კუთხე-
ულმცა არიან წინაშე ღუთისა. ამინ.

გარდა ამ 1432 წლის სიგელისა იმავე აზიურ მუზეუმში
(№ 83) მოიპოვება პირი მეორე სიგლისა, რომელიც აგრეოვე
ამ ვახტანგ მეფეს ეკუთვნის და 1437 წელს დაწერილია. სი-
გელი ცუდად არის გადაწერილი და ამიტომ უფრო თვალსა-
ჩინო შეცდომათა მცირეოდენის შესწორებით ვბეჭდავთ.

ქ. სახელითა ღუთისათა და ყოველთა წმინდისა ღუთის-
მშობლისათა ჩუენ იესიან დავითიან ბაგრატიონი ზეგარდიმო-
ცხებული, ღუთივ გვირგვინოსანი და ორთავ ტახტა მსხდო-
მარე მეფეთ მეფე რანთა, კახთა, სვანთა, ბერძენთა (sic), სო-
მეხთა, მეგრელთა, ქართველთა, ჯიქთა, აფხაზთა, ალანთა,
შარვანთა და შარვაშიანთა ლიხთ იშერისა და აღმოსავლეთისა
და ჩრდილოეთისა და ყოვლისა საქართულოესა მეფეთ მეფე-

¹) ქორონიკონი 120=1432 წ.

მან და ამათმან მჭირველმან პირველ დასაბამითგან ვიდრე უკუნისამდე შეუცვალებელი და ხელმწიფობითა დამტკიცებული წიგნი ესე სიგელისა დაგიწერინეთ იადგარი ესე, რომე ჩუქუნისა დარბაზის წინაშე შემოხვეწით მოდით და ვისმინეთ თქუენი შეხვეწი და გაგიჩინეთ სისხლი პირველ ძეობისაგან მეფისა ნამსახური ვახტანგისა და ერთგული ყოფილან გურალიძენი ჩარაჩე (sic) და მისი შვილები და მომავალნი, და გამოვიდა ხასნი აზნაურის შვილი გარე მოსახლე კაცითა, შიგნითა ყმითა, ეკლესიისა კარითა, საფლავითა, ცხენითა და ცხენისა საომრისა იარაღითა, ჯაჭვითა და მუზარადითა, ქორითა და ბაზიარითა, ტყითა, სათევზოთა, მიწითა, წყლითა, საძებარითა და უძებარითა მისითა ყოვლისფერითა. გამოვიდა გურალიძე ჩარაჩე და მისი შვილი ხასი აზნაურის შვილი და გავუჩინეთ სრული სისხლი ხუთასი ათასი ძუელი თეთრი და ეურვებოდეს, სანახურედ თუთხმეტი ათასი ძუელი თეთრი. თუ ვინმემ ცოლი გაგიუპატიუროს, სრული სისხლი დაგიურვოს. თუ ვინმემ ქალი დაგიგდოს ან ორსული დედაკაცს და შვილი მოაგდოს, სრული სისხლი დაეურვოს. თუ ვინმემ გურალიძის გუარის კაცი მოკლას, სრული სისხლი დაეურვოს. თუ ვინმემ ექუსთაგან ერთი დაგაკლოს, სრული სისხლი დაგიურვოს. თუ ვინმე სახლში მოგიხთეს და ან დაგიწვას ან აგილაფოს, სრული სისხლი დაგიურვოს. თუ ვინმემ გრძნეულობა შამოგწამოს და მართალი დარჩე, სისხლისა ნახევარი დაგიურვოს. თუ ვინმემ ჯოგი წაგისხას ან მეჯოგეს გიცეს თორმეტი ათასი თეთრი დაგიურვოს. თუ ვინმე მეხადილე დაგიცალიეროს ან გიცეს ხუთი ათასი დაგიურვოს და მართალი დარჩე, სისხლისა ნახევარი დაგიურვოს. თუ ვინმემ გურალიძის გუარის კაცს სცეს ან მჯიდით ან მათრახითა ან ქუსლით ან არგნით სისხლის ნახევარი დაგიურვოს. აწი რაცა ამას ზემოთ წერია თუ რამე საქმე მოხთეს, დაიჯერეთ მართლის სამართლისა გამგენო, პირველი ჯარი დასხედით და ეს სიგელი გამოიღეთ და ამავე წესითა და საქმითა დაეურვებოდეს სისხლი და აწი

ქრისტეს მიერ კურთხევითა აფხაზეთისა, ქართლისა კათალი-კოზნო, ოქვენცა იგრე დაუმტკიცენითა ჯვრითა და კურთხე-ვითა. მამა ჭყონდიდელო, ოქვენც ასრე დაუმტკიცენით ჯვრი-თა და კურთხევითა, დრანდელ მოქველო, ოქვენცა დაუმტკი-ცენით თქვენითა ჯვრითა და კურთხევითა. თქვენ ცაიშელ ხოფელო, ოქვენცა დაუმტკიცენით თქვენითა ჯვრითა და კურ-თხევითა. აწ რაცა ამა ზემო სწერია რამე, აწი ამისნი მოწამე-ნი არიან თავად ღმერთი და კაცთაგან ამირეჯიბი აფაქიძე ციხისთავი და ერისთავი და ციხე-ქალაქთა მოლაბრჯრე(?) მი-რართუხუცესი და პურისა ხარჯისა მომკრეფელი. აწი დაიწერა სიგელი ესე მეფეთ მეფისა ვახთაგსობისასა, ქორონიკონსა ას-ოცდახუთსა¹⁾). მე მწიგნობარსა გიორგი მოლაზონისძესა [და-მიწერია].

ამგვარად ეჭვს გარეშეა, რომ მე-XV^o საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში გარდა მთავარ შტოს წარმომადგენელ მეფისა მეფობდა კიდევ ვახტანგი. აფხაზეთის სამეფო ტახტზე ამ დროს იჯდა კოსტანტინე V, რომელიც გარდაიცვალა 1439 წელს და რომლის ადგილი დაიჭირა გი-ორგი IV-მ (1439—1455). ამავე დროს უმეფნია ვახტანგ-საც, რომლის ორი სიგელი 1432 და 1437 წლებისა ჩვენ ზემოდ მოვიტანეთ. ამ ვახტანგსავე უნდა ეკუთვნოდეს კვაშ-ნიეთის სამწირველოს სიგელიც, რომელიც მართალია უთარი-ლოა; მაგრამ პალეოგრაფიული ხასიათით მე-XV^o საუკუნეს მი-ეკუთვნება. ისტორიამ არ იცის ამაზედ უფრო ადრე არც ერ-თი აფხაზეთის მეფე ამ სახელწოდებისა. საჭიროა გავარკვიოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ვინაობა ამ ახლად გამოჩენილ მეფისა და მისი ადგილი საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის ისტო-რიაში.

¹⁾) ქორონიკონი 125=1437 წ

ვახუშტის უპოვნია ქრონიკული ცნობა ერთის ვახტანგ მეფის გარდაცვალების შესახებ 1445 წელს: „ქორონიკონსა 133 მიიცვალა მეფე ვახტანგ და დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ“. ¹⁾ ვახუშტისავე უპოვნია 1449 წლის სიგელი: „ჩვენ მეფემან გიორგიმ, ძმამან მეფისა ვახტანგისამან გიწყალოა ეთ ინდიქტიონსა 5. ²⁾ ეს ინდიქტიონი იგრეთვე უჩვენებს ვახტანგის გარდაცვალებას და გიორგის გამეფებას 1445 წ. ³⁾ ვახუშტი და მისი მიმყოლი ჩვენი ისტორიგრაფია დაჯერებულნი არიან, რომ ეს ვახტანგი არის საქართველოს მეფე ვახტანგ, ხე დიდისა ალექსანდრესი, მცხეთის განმანახლებელისა, რომლის სიკვდილის შემდეგ მართლაც გამეფდა ძმა მისი გიორგი IX. მაგრამ ეს ვახტანგ ალექსანდრეს ხე ცოცხალი ყოთილა 1446 წელს, როგორც ეს სჩანს იკორთის ტყავის ზატიკის წარწერისაგან: „დაიწერა წმიდანი ესე ზატიკნი მეფობასა ვახტანგისა და ბრძანებითა ერისთავისა შალვახესათა ქ'კსა რკიდ“ (=1446 წ.). თვით ამ ვახტანგის გარდაცვალების შესახებ ცნობის გაგება აღვილია, თუ გამოვიანგარიშებთ, როდის დამჯდარა მეფედ ძმა მისი გიორგი IX. ხოლო ეს კი შედარებით აღვილი გამოსაცნობია, რადგან ჩვენამდის მოაღწია რამდენიმე სიგელმა, დაწვრილებით დათარიღებულმა, გიორგის მეფობის ინდიქტიონის ჩვენებით. ავილოთ რამდენიმე ასეთი სიგელი, საღაც მეფობის ინდიქტიონიც მოხსენებულია და სიგელის დაწერის წელიწადი და თვეც.

¹⁾ ქართლ. ც-ბა II, 239.

²⁾ იქვე.

³⁾ ისიც შესაძლებელია, თუ სახეში ვიქონიებთ ვახუშტის ქრონიკის საერთო ხასიათს, რომ მას ცნობა მეფის ვახტანგის 1445 წ. გარდაცვალების შესახებ არც ეპოვნოს, არამედ შეეთხას ამ 1449 წლის სიგელის მიხედვით.

ქორონიკონსა	135,	ქრისტესით	1447 წ.	25 დეკემბერს	მეფობის	ინდიქტოონი	1.	¹⁾
"	137,	"	1449	25 დეკემბ.	"	"	3	²⁾
"	139,	"	1451	1 ივლისს	"	"	5	³⁾
"	146,	"	1458	27 აგვისტ.	"	"	12	⁴⁾
"	148,	"	1460	30 იანვარს	"	"	13	⁵⁾
"	148,	"	1460	12 ივნისს	"	"	14	⁶⁾
"	151,	"	1463	2 სექტ.	"	"	17	⁷⁾

ამის მიხედვით აღვილად შეიძლება გამოვიანგარიშოთ,
რომ გიორგი IX მეფე გამეფებულა 1447 წ. 31 იანვარსა და
11 ივნისს შორის.⁸⁾ მაშასადამე ვახტანგ ქართლის მეფის
გარდაცვალებაც ამავე დროს უნდა ეყუთვნოდეს.⁹⁾ ცხადია,
ეს ვახტანგ ალექსანდრეს ძე ქართლის მეფე 1447 წ. გარდა-
ცვლილი არ უნდა იყოს ის ვახტანგ მეფე, რომელიც ვახუშ-

¹⁾ ქრონიკები II, 260.

²⁾ იქვე, 261.

³⁾ იქვე, 263.

⁴⁾ იქვე, 277.

⁵⁾ იქვე, 279.

⁶⁾ საქართ. სიძვ. II, 18.

⁷⁾ საქართ. სიძვ. II, 19.

⁸⁾ ქართლში გამეფებამდის გიორგი IX მეფედ მჯდარა კახეთს,
რაც მოხსენებულია ქართლის ცხოვრების შედეგშიაც. ჩვენ გვინაზავს
პირი სიგელისა, რომელიც ბოძებულია „კახეთის მეფის გიორგისაგან“,
ძისა დიდისა ალექსანდრესისაგან, დაწერილი ქორონიკონსა 134 (=1446)
მარტის 7-ს, მეფობის ინდიქტიონსა 13. მაშასადამე, გიორგი კახეთში
გამეფებულა 1433 (ან 1434) წელს და 1446 წ. კიდევ იქ იჯდა, რად-
გან ძმა მისი ვახტანგ მეფე ჯერ ცოცხალი იყო.

⁹⁾ ვახტანგ მეფის 1447 წ. გარდაცვალება კიდევ მოხსენებულია
იკორთის № 6 ძილისპირის ქრონიკაში (იხ. ქრონიკ. II, 358).

ტის ქრონილოგით 1445 წელს გარდაცვლილა. ან ეგებ ვახუშტის ცნობა შემცდარი იყოს? მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვა საბუთებიც, რომ ერთი კიდევ გიორგი მეფე გამეფებულა 1445 წელს. ხოლო ეს გიორგი ვახუშტის მიერ პოვნილ საბუთით ძმა ყოფილა ერთ ვახტანგ მეფისა. ამას ამტკიცებს შემდეგი სიგელი მცხეთისა 1448 წ. ბოძებული. მოგვაქვს აქ ეს სიგელი დიდად შემოკლებით.

... (ჩუენ) აფხაზეთისა და ოჩისავე ტახტისა ლიხთიშერისა და ლიხთაშერისა მტკიცედ მქონებელმან მეფეთ მეფემან გიორგი გვადრე და მოგახსენე და შემოვწირე თქვენ კათოლიკე დედა ქალაქსა მცხეთის საყდარსა და მას შინა აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა ბაგა სრულად საჯდომითა დარბაზითა, კარის ეკლესიითა, გლეხებითა საგლეხოთა სასამსახუროთა, ჭურმარნითა, მისითა შესავლითა, მზღვურითა, ყანითა, ვენაკითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანალიროთა, მთითა და ბარითა, საკმრითა და უკმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგომითა მზღვურითა ყოვლითურთ უნაკლულოდ და მოგაკენე კესაური ბაგურითურთ და ჭართაულითა მამულითა მოგვიკენებია და შემოვვიწირავს ჩუენ თვს სააღაპედ... დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ქორონიკონსა რლვ (=1448 წ.) ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მესამესა, კელითა ფრიად საწყალობელისა მესტუმრისა და კარისა ჩუენისა მწიგნობრისა კლიმი კაკლაჩასძისათა. *)

ამ სიგლის მიხედვით გიორგის გამეფება გამოდის 1445 წელს, რასაც ამტკიცებს კიდევ შემდეგი სიგელი გელათის

*) ვბეჭდავთ აზიურ მუზეუმში დაცული პირის მიხედვით. შეად. ქრონიკ. თ. უორდანიასი II, 260.

მონასტრისა (№ 48), ტყავზედ დაწერილი $43\frac{2}{3} \times 23\frac{1}{3}$ სანტმ.
ნიშნად იხმარება 3 წერტილი. ვბეჭდავთ ამ სიგელს თავისი
მართლწერით, უცვლელად.

ქ.: შენ ღრუბელსა მაგას ნათლისასა ქუენათა ზენად
მაერთსა ტომებით ასულსა ადამისსა დადებისა ღმრთისასა,
ძუელ ოდესმე მოსესგან მაყულად მოტყნარედ ხილულისა და
შეუწველად დაცულსა ჰრონის კუერთხსა აყოვებულსა, რო-
მელმან გამოიღო ნაყოფად უნაყოფოთა ნაყოფიარ მყოფელი
და ყოვლისა სოფლისა განმანათლებელი, დადამის ძუელისა კა-
ცისა განმახლებელი და ევას წყევისა და კურულებისა დამჯე-
ნელი და კურთხევად შემცვალებელი, გედოვნის საწყიმისსა
ნოტიო მყოფელო, შენ სადგურო და განსასვენებელო და
პალატო კიდობან საღმრთოსა სრულისაო, რომელმან დაიტიე
ფიცარი იგი საუფლოთა მით თითითა დაწერილი ტაკუკი მა-
ნანთა აღსავსე და კვერთხი იგი სასწაულთა მოქმედი მამისა
შენისა და წინასწარმეტყუელისა დავით მეფეთა შორის წარ-
ჩინებულისა ასულად მოსწავებულო, ვითარცა გიგალობდა
კმითა მით სანატრელითა პირათ პირადად ფესადითა ოქროვა-
ნითა შამკობილად და ვინ მისწუდების შენთა დიდებულებათა
მეტყუელებად ყოვლად წმიდაო გელათისა ღმრთისმშობელო,
ჩენ მსასოვებელმა და მანდობილმან ცვაფარვათა ოქვენთა-
მან მეფეთა მეფემან გირგი ვიგულე და ვიგულსმოდგინე მცირე
ესე სამსახური და შემოსაწირავი და შემოგწირე მღუმისა
ეკლესია და იქი მსხდომნ გლეხნი ფანჩულისძენი... (აქ შვი-
ლი სიტყვა წაშლილია) მამულითა, მთითა, ბარით, წყლითა,
წისქუელითა, ველითა, ვენაკითი, სათიბითა, ჭალითა, ეტლე-
სითა, სასაფლაოთა, მათითა ერთობილითა შესავლითა და გა-

მოსავლითა მოგვიკესენებია და შემოგუიწირავს. უწინაცა თქვენი მკვდრი და ძველიდგან შემოწირულიყო და იადგარშიგან გეწერნეს ესე გლეხნი, რომე ესრეთ ზემო სწერიან და აწყიდევე მოგაკესენეთ და შემოგწირეთ ამა წესითა, რომე ჩვენისა სულისათვს ყოვლთა წელიწადთა ფანჩულიძე ვინცა ვინ მღრღელი იყოს უამსა გვიწირევდეს დალაპსა გარდაიდიდეს და მათი ბეგარა რაცა იყოს, თქუენ წინა მოვიდოდეს და არ დაგაკლდებოდეს და ჩუენ ჩუენი წირვა კურთხევა ლოცვა წირვა არა მოგვეშალოს და ვინც ვინ ჩხარისა პატრონი იყოს, რასაცა ყანასა მოკნევდეს, მას ვერას სთხოვდეს და ვერც რა საქმე დაიგდოს. როგორცა თქუენსა მკვიდრსა და უცილებელსა მამულსა მართებს, აგრე გაგითავდეს და ვერავინ შეგიცვლოს და ვინცა შეგიცვლოს და მოგიშალოს, რისხვსმცა მამა, ძე და სულიწმიდა და თქუნ გელათისა ღრთისმობელი და მას მეორედ მოსვლასა ჩუენთვსმცა განიკითხვის წინაშე ძისა თქვენისა და ღმრთისა ჩუენისა და ღამამტკიცებელნი ღთმან აკურთხნეს. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ჩუენი ქქს რნბ, ინდიკდიონს მეფობისა ჩენისასა ით, იანვარსა ით.

ბოლოს ხვეულად: მეფეთმეფეს გიორგის დამიმტკიცებია ნებითა ღმრთისათა.

ეს სიგელი მიცემულია 1464 წ. 19 იანვარს მეფობის ინდიკტიონს 19-ს. ამის მიხედვით, ახლა ეჭვს გარეშეა, რომ მე-XV საუკუნეში მართლაც ყოფილა გიორგი მეფე, რომელიც გამეფებულა 1445 წელს და რომელიც, როგორც ვახუშტის მიერ პოვნილ სიგელიდან სჩანს, ძმა ყოფილა ვახტანგ მეფისა. ვახუშტის, როგორც მისი ქრონიკიდან სჩანს, მართლაც უპოვნია ცნობა ამ ვახტანგ მეფის 1445 წელს გარდაცვალების შესახებ.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ის ვახტანგ მეფე, გორგასალად წოდებული, რომელიც ტახტზედ მჯდარა 1434 და 1437 წ., გარდაცვლილა 1445 წ. და მის მაგივრად გამეფებულა ძმა მისი მეფე გიორგი. მაგრამ სად მეფობდა ეს ვახტანგ და მისი მემკვიდრე გიორგი მეფე? ეჭვს გარეშეა ისინი არიან აფხაზ-იმერეთის სამეფო დინასტიის შტოსანი. „მოვიდნეს ქუთათისსა ჭარულიძენი და ბაქრისძენი და კოტრიძენიც მეფეთ მეფის ვახტანგ გორგასლისა წინაშე“-ო, ნათქვამია 1432 წლის სიგელში. ამასვე ამტკიცებს ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფის 1437 წლის სიგელში დამამტკიცებელთა შორის მოხსენებულია მარტო აფხაზეთის საკათალიკოზოს ეპისკოპოზი. მის მფლობელობის ქვეშ ყოფილა რაჭა, ამას ამტკიცებს ვახტანგის სამწირველოს სიგელი. მისსავე მფლობელობის ქვეშ ყოფილა ქართლის დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილი. ამას ამტკიცებს 1432 წლის სიგელი, რომლის მიხედვით მოსამართლედ მეფის ბრძანებით დამჯდარა სხვა აფხაზ-იმერეთის დიდებულებთან ერთად „მართლი მოურავი“ ქართლისა ერისთავი ქვენიფნეველი. ქვენიფნეველი ამ დროს მართლაც ფლობდა ქსნის საერისთოს. *) ამასვე გვიჩვენებს 1448 წლის გიორგი მეფის სიგელი მცხეთისადმი ბაგას შეწირულობის შესახებ: ბაგა დასავლეთ ქართლშია. ამასვე ამტკიცებს კიდევ ერთი სიგელი, რომელიც მე-XVIII საუკ. ხელით მიწერილია იკორთის № 6 ძილის პირის ქრონიკაზე: „ქ. იკორთის მთავარანგელოზს შევსწირე მეფემ გორგასალმან სულისა ჩემისა სამეოხოდ, რათა მსაკურონ წმინდასა შენსა ეკლესიასა, იკორთა, არცვი, ქვეში, ფლავსმანი, ფლავი. მხილ-

ველნო წმიდისა ამის ეკლესიისანო, შენდობა ითხოეთ ჩემ[თვის]". ცხადია ეს სიგელი გადმოწერილია ძველი დედნიდან, გორგა-სალი უნდა იყოს მე-XV საუკუნის მეფე (\dagger 1445 წ.), რო-მელსაც ლიახვის ხეობაში ზემოთხსენებული სოფლები შეუწი-რავს იკორთის მონასტრისათვის. ამ სამეფო შტოს მორჩილე-ბის ქვეშ ყოფილა არგვეთი—ეს ცხადად სჩანს 1464 წლის გიორგი მეფის სიგლიდან. მეფეს გელათის ღვთისმშობლისა-თვის შეუწირავს მღვიმის ეკლესია და იქ მსხდომნი გლეხნი ფანჩულიძენი და მათი ბეგარა რაცა იყოს, თქვენ წინა მოვი-დოდეს და არ დაგაკლდებოდეს „და ვინცა ვინ ჩხარისა პატრონი იყოს, რასაც ყანასა მოკნევდეს, მას ვერას სთხოვ-დეს და ვერც რა საქმე დაიგდოს“. ეს ადგილი ფრიად საინ-ტერესოა. „ჩხარის პატრონი“ აღბად ეს სამეფო შტო ყო-ლა და თვით ჩხარი ამ სამეფო გვარეულობის რეზიდენცია. ჩხარი, როგორც ცნობილია, XVII საუკუნემდის ქალაქიდ ითვლებოდა, სანამ ის არ გააოხრა დიდმა ლევან II დადიან-მა. 1635 წელს მან ჩხარის ქალაქი აყარა და მისი მცხოვრებ-ლებით ზუგდიდის ახლოს რუხის ქალაქი გააშენა. მართალია, 1432 წლის ვახტანგ მეფის სიგელში მოხსენებულია — „მოვიდ-ნეს ქუთათისსა ჭარულიძენი და ბაქრისძენი და კოტრიძენიც მეფეთმეფისა ვახტანგ გორგასლისა წინაშეო“ — მაგრამ აქ ქუ-თაისი შეიძლება იგულისხმებოდეს ვითარცა ადმინისტრატიუ-ლი ცენტრი მთლად აფხაზ-იმერეთის სამეფოსი და არა ვი-თარცა რეზიდენცია ვახტანგ მეფისა. ეს მით უფრო საფიქრე-ბელია, რომ აფხაზ-იმერეთის ტახტზედ ამ დროს უნდა მჯდა-რიყო მეფე კონსტანტინე V (\dagger 1439 წ.)¹⁾

¹⁾ იხ. ჩვენი შრომა — გენეალოგია ბაგრატ VI, აფხაზთა და ქარ-თველთა მეფისა.

ამ გვარად მე XV საუკუნეში ზემო იმერეთსა (არგვეთს), რაჭას და ქართლის დასავლეთ ნაწილს ფლობდა სამეფო გვარეულობის ერთი შტო, რომლის ჩეზიდენცია ჩხარს უნდა ყოფილიყო. ვახტანგ, გორგასალად წოდებული, ყოფილა ამ სამეფო შტოს წარმომადგენელი. მისი სიკვდილის შემდეგ 1445 წ. მეფედ დამჯდარა ძმა მისი გიორგი. ეს ის გიორგი უნდა იყოს, რომლის სიკვდილის შესახებ 1469 წელს ვახუშტის უპოვნია ქრონიკული ცნობა.¹⁾ ვახუშტის აზრით 1469 წელს გარდაცვლილი გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი IX ქართლ-კახეთის მეფე, ეგ დიდისა ალექსანდრე მეფისა. ამ გიორგი IX-ს მემკვიდრე იყო ეგ მისი ალექსანდრე, რომელიც მამის სიცოცხლეშივე მეფედ იწოდებოდა. მამის ტახტზედ კი ის დამჯდარა, როგორც მისი მეფობის ინდიქტიონის გამოანგარიშებიდან სჩანს, 1476 წელს. *) გიორგი IX-ს გარდაცვალებაც ამ წელს უნდა ეკუთვნოდეს. ამიტომ 1469 წელს გარდაცვლილი გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი მეფე ჩხარის პატრონი, ძმა ვახტანგ გორგასალად წოდებულისა.

ამავე რაჭა-არგვეთის სამეფო შტოს წარმომადგენელი უნდა იყოს მეფე ბაგრატ, რომელიც ცხოვრობდა მე-XV საუკ. დასაწყისს. ამას ამტკიცებს ზემოდ მოტანილი სიგელი მისი ბოძებული ფანჩულიძეებისადმი (ფანჩულიძეები 1464 წ. გიორგი მეფემ შესწირა გელათის ლვთისმშობელს). შვილი მისი ვახტანგ მეფე 1510 წ. მზეჭაბუკ ათაბაგთან ერთად შეება მოხისს აფხაზ-იმერეთის მეფეს ბაგრატ VII-ს.

ამავე სამეფო შტოს უნდა ეკუთვნოდეს კიდევ სამართ-

¹⁾ ქართლის ცხოვრება II, 6 და 240.

*) ქრონიკები II, 300, 301.

ლის წიგნის დამწერი ბაგრატ, კურაპალატად წოდებული,
რომელიც მე-XVI საუკუნის შუაში სცხოვრობდა. ¹⁾)

დაწვრილებით ამ სამეფო შტოს საგვარეულო ისტორიას
ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ ამ
შტოს პირველი წინაპარი უნდა იყოს მეფე მიქაელი, ძმა აფ-
ხაზთა მეფის კონსტანტინე I სა და ძე დავით ნარინისა. მონ-
გოლების ეპოქის მემატიანე გადმოგვცემს: „დაუტევა (ნარინ
დავითმა) სამნი ძენი: პირმშო ვიდრემე კოსტანტინე და
მეორე მიქაელ და უმრწემესი ალექსანდრე... ხოლო მიიღო
მეფობაც კონსტანტინემ პირმშოებისა ძლით, რომლისა მეფო-
ბასა წინა-აღუდგა ძმა მისი მიქაელ და დაიპურა ქვეყანა
რაჭისა და არგვეთი და დღეთა მათთა იშლებოდა ქვეყანა
იგი, რომელთა საქმენი არღა მოხსენებულ არიან. და არა
ყვეს მშვიდობა ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ რომელსა
უამსა დაიზავნიან, ზყის შეიშალნიან“. *) ეს მიქაელ მეფე რა-
ჭისა და არგვეთისა ცოცხალი ყოფილა 1326 წ. **), ვახუშ-
ტით ის გარდაიცვალა 1329 წელს.

1) იხ. ჩვენი შრომა—სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი.

*) ქარ. ც-ბა, ბროსსეს გამ., I, 427.

**) საქართ. სიძვ. II, 33—34.

